


წიგნის მკვლევარი „ცოდნა“-ს გამოცემა № 69.

112
3.

899.962.1-3

ბ ე რ უ ა
ქ რ ი ს ტ ე ს ნ ი ა შ ვ ი ლ ი

ნ. ლ. მ. ა. უ. რ. ი. ს. ა.



2698

2698

საქართველოს
საბჭოთაო
საბჭოთაო
საბჭოთაო

1913

ბ ე რ უ ა

მლექტრო-მბეჭ. ა ქერესელიძისა, გაბაშვილის შესახ. № 1.

1913

ბერუა ქრისტესიაშვილი.

I

გათენდა პეტრე-პავლობის დილა. გწყალობდეთ, ზემო ბა ზონო, მთავარ მოციქულთა მადლი!.. ღამის ბინდ-ბუნდი ჯერ კიდევ სრულიად არ ახლოდა დედამიწას; გამოველ სახლიდან, შევჯექ შეკმაზულ ცბენზე და გავწიე სოფელ ნახვრევისაკენ. ამ სოფელში ცოტაოდენი საქმე მქონდა, მაგრამ ისე ეს საქმე არ იზიდავდა ჩემს ყურადღებას, როგორც სურვილი იმ მხრის ნახვისა. წინააღმდეგ ქართული ანდაზისა, განვიზრახე ერთი სროლით ორი კურდღლის მოკვლა, შევჯექ და გაკუდექ გზასა. ეს გზა ვადადიოდა მთაზე, რომელიც იქვე, ჩვენი სოფლის პოლოსს, ამართულიყო. შევუდექ ნელნელა მის ამწვანებულ ფერდობსა. ღამის ნამით პირ-დაბანილი ბუნება სიცოცხლით სავსე, ახლად გაღვიძებულ ბავშვივით იღიმებოდა. ქოჩორა ტყით შემოსილი მთის ქედი, ჯერ ისევ ნისლში იყო გახვეული; ძირს კი ეს ნისლი, უკვე დაწყებული დღის სითბო-სინათლის ვავლენით, გათხელებულიყო, დედამიწას გაჰკროდა და, შეშინებულ ქურდბაცაცასავით, სადღაც მიიპარებოდა. აქაიქ ამ ნისლიდან მალალ ბუჩქნარებს ამოეყოთ თავები; გეგონებოდათ — პატარ-პატარა კუნ-

ტალებზე მოტივიტივებული უხარმახარი, დაუსრულებელი ტყე. ამ ტყის ნამით დაბანილ ფოთლებს მოჰყენოდნენ მხის ბრწყინვალე სხივები, ნიავისაგან ირხეოდნენ, კანკალებდენ, თრთოდნენ და გაჰქონდათ სწორეთ ისეთივე თვალის წარმტაცი და გულის ამგზნები ბრწყინვალე ლაპლაპი, მოელვარე ციმციმი, როგორც ხამტრის უმთვარო ღამეში ვარსკვლავებით მოქედნილ მოკრიალებულ ცასა. გავიდა ორიოდ წამიც და სურათმაც ხელახლა იცვალა ფერი. ძალზედ გათხლებული ნისლი ძირს დაეშვა, დედამიწას გაეკრა, მაგრამ მხის ნათელი სხივები არც აქ სჭოვებდნენ მოსვენებითა: ძლიერ-მოსილ რაზმებათ ესხმოდნენ თავსა, შეუბრალებლად ჰგლიჯდნენ, აქეთ-იქით ჰფანტავდნენ. ნისლსაც თითქო თავზარი დასცემოდა: გზა და კვალი ვეღარ გაეგნო... ხან აქეთ მოსრიალდება ფეხაკრეფით, ხან იქით. ერთგან რო პუჩქებში ძვრებოდა, თითქო ემალება ვისმეო, მეორე ადგილას მალლა, ხის ტოტებისაკენ, მიჰქროდა, მათ შორის იჭუყებოდა; შემდეგ იმედ-გადაწყვეტილივით განათებულ ლაჟვარდ სივრცეში ადიოდა და კომლივით იფანტებოდა ჰაერში, ამ დროს მთელი ეს უსახლვრო ტყე მოსე წინასწარმეტყველის მაყვლოვან ბუჩქს წააგავდა; ტყეს კომლი ასდიოდა; თითქოს ცეცხლი ეკიდა, მაგრამ კი არ იწვოდა.

გადავდგი კიდევ ორიოდ ნაბიჯი და შემდეგ დავეშვი მთის მეორე, აღმოსავლეთის, ფერდობზე. ახლა ჩემ თვალწინ გადიშალა ფართო, ტრიალი მინდორი, სავსე სხვა და სხვა გვარის მოსავლითა. მთელი მინდორი: როგორც ნათესი მიწები, ისე

მოუხნავი ველი, როგორც უთვალავი, აქა-იქ გაფანტული ბუჩქები, ისე ასწლოვანი ბებერი მუხები ხასხას მწვანედ ღაღანებდნენ, თვალის წარმტაც სინაზით ელვარებდნენ. ზედ შუა მინდორზე მარდად გარბოდა პატარა მდინარე. მის ანკარა წყალს უხვად მოჰფენოდნენ მზის ნათელი სხივები და ახავიერდებულ ნაპირებ შორის სარკესავით გაჰქონდა ლაპლაპი. უთვალავ ფრინველთა ქიკქიკ-გალობის ფერხულში ჩვენი მდინარეც ჩაბჭულიყო: ლურჯად ნოკამკამე პაწია ტალღებს ახლიდა ერთმანეთს, სცემდა ნაპირებს, ისროდა აქეთ-იქით მარგალიტ წინწყლებს. ხტოდა, მღეროდა, თამაშობდა. ერთგან რომ დარბაისლოურის სიღინჯით ჩუმად, წყნარად მიბრძანდებოდა, მეორე ადგილს ფიცხი ვეფხვივით მიხტოდა, ციბრუტივითა ტრიალებდა, დაგვიანებულ მგზავრსავით მიეშურებოდა. ისმოდა ხან გაჯავრებული შხუილი, მუქარით სავსე ბუტბუტი: ხანაც საიდუმლოებით მოცული ნაზი, წყნარი ჩურჩული, თითქოს ეალერსება ვისმეო... მერმე უცებ არღვევდა სიჩუმეს: ხელახლა იწყებდა ხმა მაღალ შრიალ-შხუილსა, და ამ დროს მისი მხიარული, სიცოცხლით სავსე ჩქრიალ-ჩუხჩუხი მთელს მინდორს ეფინებოდა და ქიკქიკ-გალობასთან შეერთებული, ბუნების დიდებულ ღაღადებათ ისმოდა. ოხ, ბუნებავ, ბუნებავ! .. რა კარგი რამა ხარ, შე დალოცვილო!!

II

შუა დღე ცოტა გადასული იქნებოდა, როდესაც მე შევედი გზაზედ მდებარე სოფელ ნამგალაში. აქედან სულ ნახევარ საათის სავალი გზა-ლა მექნე-

ბოდა დარჩენილი, ამიტომ არ ვეშურებოდი. როცა ცხენმა მდინარისაკენ გაიწია, აღვირი მიუშვი. იგი წინა ფეხებით ჩადგა წყალში და იწყო გულიანად მისი სმა. სწორედ ამ დროს იქვე ახლო ვენახიდან შემომესმა მშვენიერი ქართული სუფრული, მას მოჰყვა ხევური. მაღალის, საგანგებოდ შემუშავებულის ხმით დაიძახა პირველმა, მაგრამ არც მეორე მოძახილი ჩამორჩა უკან: მჭექარე ვაჟკაცურის ხმით დასძახა და გრძნობით დააკრიალა მოხდენილი სიმღერა. ბანი ისეთის ძლიერებით გუგუნებდა, რომელსაც ხუთ-ექვს კაცზე ნაკლები ვერ მოახერხებდა. გავიდა ორიოდ წამიც და უცებ, უალაგო ალაგას შეწყდა სიმღერა. მეც ის იყო დავაპირე ცხენის გამოტრიალება გზისაკენ, როდესაც წინ გადმომიდგა ლაზათიანად ჩაცმულ-დახურული, კარგა ხანში შესული, წამოსადეგი ვლები და საუცხოვო სიტყვაპასუხით მომიბრუნდა.

— ყმაწვილო, ამ პაპანაქება სიცხეში, შუადღის გულზე, მგზავრობა არც სასიამოვნოა და არც სასარგებლო!. ჩაშობრძანდით; მზის გადახრამდე აქ ჩვენთან ჩრდილი იჩრდილეთ, ღვინო იღვინეთ, და მერე გზა მშვიდობისა მოგცეთ უფალმა!. ჩამობრძანდით, შენი ჭირიმე!. მგონია, ე ჩემი ბიჭების სიმღერას უგდებდით ყურსა... ოღონც გვეწვიეთ და ემ წმინდი გიორგის მადლს გეფიცები, უკეთეს სიმღერებს ვიტყვი და ვათქმევინებ იმათაც.— თეთრ თავა ბერიკაცს გაოცებით და სიამოვნებით გადავხედე. მისი მაღალი შუბლი წლოვანებას ძალზე დაენაოქვებინა. მსხვილი ერთმანეთზე გადაბმული წარბები

მთელ მის სახეს მრისხანების ელფერსა სდებდნენ, მაგრამ საკმარისი იყო ერთი შეგეხედათ ამ წარბებს ქვემოდან მამაშვილურას სათნოებით გამომზიარალთვალეებისათვის, რომ ეს შეხედულობა წამს სრულად გამქრალიყო. „ეს ძველი დროების ნაშთია. ამისთანა გლეხები, ვგონებ, ბევრი აღარ უნდა იყოს ამ ჟამად ჩვენს ქვეყანაში,“ — გავიფიქრე გულში და გადმოვხტი ცხენიდან.

— მეტის-მეტად უზღველი უნდა იყვეს ის კაცი, რომელიც გაექცევა შენისთანა მასპინძელს! — სიცილით ვუთხარი ბერიკაცს და გავუშვირე ხელი... გლეხმა მაგრა ჩამომართვა ხელი და მხიარულად წარმოსთქვა:

— აი, გადღეგრძელოს ღმერთმა!.. მაშ წამობრძანდი, შენი ჭირიმე!.

— წავიდეთ, მაგრამ ჯერ შემატყობინე— ვინა ხარ, ბიძია?. რა გვარი ხარ? — ბერიკაცმა ჩაიციხა: მერმე აღვირი გამომართვა და მიპასუხა:

— ვინა ვარ! მე ვიცი მთავარ-მართებელი ვარანტოვი ვიქნები!.. ბერუა ქრისტესიაშვილი გახლავარ!.

მეც გავეცანი, და როდესაც ჩემი გვარი წარმოვსთქვი, ბერიკაცი მომიახლოვდა, დამაშტერდა და მერე სასოებით გადაიწერა პირჯვარი...

— ერთი ეს მიბძანე, შენი ჭირიმე, გაბრიელისა რა ხარ? შვილი ხო არა ხარ იმისი?

— დიახ, დიახ, ბერუა, შვილი გახლავარ გაბრიელისა.

ბერუა ქრისტესიაშვილმა კვალად გადაიწერა პირ-

ჯვარი და დაღონებით იწყო ისე, თითქო თავისთავს ელაპარაკებო ..

— ღმერთმა აცხონოს, სასუფეველი დაუმკვიდროს!.. მე და ის დიდი მეგობრები ვიყავით... აი დიდება შენთვის ღმერთო!. რა ნაირათა ჰგავს იმ ცხონებულსა!. გულმა ტყუილად კი არ გამომიწია... მერმე აიღო თავი მალლა, წამავლო ხელი და მამა-შვილურის ალერსით მითხრა:

— წამოდი, შვილო, წამოდი!

ვენახის კარებში წინ მოგვეგება ერთი ქალაჩა შერეული გლეხი. ცხენი ჩამოართვა მოხუცებულსა და იქვე ახლო ამწვანებულ ბალახზე დააბა.

ჩვენ შევიარეთ ვენახის კარები, გავცდით საგანგებოდ შემუშავებულ, ყოველნაირ მწვანილყოფით სავსე ბოსტანსა და მივადექით ერთ უხარმაზარ მუხას. ტოტები აქეთ იქით გავწიეთ და შევედით მუხის ქვეშ ჩემს გაოცებულ, აღტაცებულ თვალს წინ გადაეშალა საოცნებო სურათი. კალოსავით მორგვალბეულ, ხელის გულივით სწორე ადგილზე ამართულიყო უხარმაზარი მუხა. მისი მრავალი ვეებერთელა ტოტები ზოგი ამაყად წასულიყვნენ მალლა-მალლა და დაუსრულებელ ლაქვარდ სივრცეში პედიდურად ირხეოდნენ, შრიალებდნენ; ზოგსაც აქეთ-იქით ვანზე წაელოთ თავები; უთვალავი სქელი ფოთლებით დაბურული პაწია ტოტები და ყლორტები ველარ შეემაგრებინათ: სიმძიმით ძირს დაზნეჭილიყვნენ, დედამიწამდე დაშვებულიყვნენ, და ამნაირად შეეკრათ კარავი, ზღაპრული დევ-გმირების კარავი, ყოვლად შემძლებელ ბუნებისაგან საო-

კრად შემზადებული მარად მოძრავ, კოცხალ ნაწილებისაგან. ბევრიც რო გეცქირათ მალლა აქეთიქით, ვერსად ვერ შეამჩნევდით მცირეოდენ მზის შუქსა, ვერას გზით დაინახავდით სულ პაწაწკინა ლაფვარდ სივრცეს ცისასა... უთვალავი ყლორტებითა და ფოთლებით ისე სქლად იყო დაბურული რომ მთელი კვირა რო ეწვიმა, ერთი წვეთიც არ ჩამოვარდებოდა აქა. ძირს მრელი დედამიწა ტურფად ახვერდებულ პრასა ბალახით იყო დაფენილი. ამ სუფთა, რბილ და სურნელოვან მწვანე ხალიჩაზე გაშლილი იყო გრძელი ლურჯი სუფრა; საესე პრავალის სხვა და სხვა ნაირის სასმელ-საქმელებითა. სუფრის ერთ გვერდზე იდგნენ შეიდი რვა ერამანეთის მიმდევნო, საუკეთესო ყმაწვილი ბიჭები; სუფრის მეორე გვერდზეც ამგვარადვე ჩამწკრივებულიყვნენ რამდენიმე ლამაზი შავთვალწარბა გოგოები. თავში იდგა ღრმად მოხუცებული მანდილოსანი, ბოლოში სამი ოთხი წლის მარად მომლიმარი. და როგორც ეტყობოდა, ეშმაკი და კუდიანი გოგონა. მოხსენებულ მანდილოსანს ერთ მხარეს უდგნენ უკვე ხანში შესული დედაკაცები, ხოლო მეორე გვერდზე აგრედვე ორი ქალარა-შერთული გლეხები. როდესაც მთელს ამ საზოგადოებას თვალი გადავაფლე, ერთმა გარემოებამ მიიპყრო ჩემი ყურადღება: როგორც ბიჭები, ისე გოგოები სახით თუ ჩაცმადახურვით საკვირველად წააგავდნენ ერთმანეთს. თავის დაკვრით, „გამარჯვებით“ მივესალმე იქ მყოფთ და პერე მიუბრუნდი ბერუას:

— ბერუა, ერთი ეს შემატყობინე, თუ ღწერთი

გწაჰს: ამდენი ესე ერთმანეთის მიმდევნო, ერთი მეორის მზგაჲსი გოგო-ბიჭები საიდგან შეგიგროვებია აქა?

ამ კითხვაზე ბერიკაცმა კმაყოფილებით ჩაიცი ნა... დანარჩენთ შორის კი გაჩნდა შეკავებული სიცილ-ფრუტუნნი და ფრთხილი მუჯღუგუნების ცემა.

ბერუამ ხელი წამავლო, სუფრასთან მიმიყვანა. თავის ადგილი ხელახლა დაიჭირა და მეც გვერდზე მომისვა. სხვებმა მოგვბაძეს ჩვენ: ყველანი შევუდექით პურის ქამას.

III

მოხუცმა მასპინძელმა პირჯვარი გადაიწერა, პური გაჭება და შემდეგ თავაზიანად მითხრა:

— შიირთვი, შვილო, მიირთვი!.. ნამგზავრი ხარ და პური გეშეება. ჩვენც ეს არის ახლა დავსხედით სუფრაზე... მღვდელ-ღიაკვანიც დავპატიჟე, მაგრამ არ მობძანდნენ: ალბათ, მეორე სოფელში წავიდნენ ტაბლების საკურთხებლად. მართლა, ბიჭო იორდანე, მოდი აქა შვილო!.. აავსე ღვინით ორი დიდი დოქი: ერთი ღვდლიანთ მიართვი, მეორე ღვინიანთა. ამის შემდეგ ბერუამ აავსო ყანწი. პირჯვარი გადაიწერა, საერთო სადღეგრძელო დალია ყველანი დაგლოცა: პეტრე და პავლე იყვნენ თქვენნი შემწე-მფარველიო, იმათმა მადლმა დაგასწროთ მრავალს ამ დღეს ბედნიერათაო. როდესაც ეს სადღეგრძელო ყველამ ჩამოვირიგეთ, მაშინ ბერიკაცი მობრუნდა ჩემსკენ და მითხრა;

- აი, ახლა-კი, როცა ე ჩვენ კუჭებს საიმედო

დედა-ბოძები მივეცი, ახლა მოგახსენებ წელანდელი
შენი საკითხის პასუხსა: ✓

— აი, ეს მარცხნივ რო მოხუცებული შიზის,
ეს არის, უკაცრაული პასუხია, ჩემი ჯალაბი, ჩემი
ხორეშანა, მთელი ოჯახის დიდი მოამაგე, ჭირსა
და ლხინში ჩემი ერთგული მეგობარი. მე და ამან
რო ჯვარი დავიწვრეთ, თითქმის არა გვებადრა.
მაგრამ ამისმა დედაკაცობამ: დაულალავმა მხნერბამა
და მოწალმართეობამ მალე ოჯახი გამიჩინა და ამ
ოჯახში დოვლათს მკვიდრი საძირკველი ჩაუგდო. ამ
ბოლო დროს, საწყალი, ცოტა დამიყრუვდა, მაგრამ
შინც ყოჩალია: ჯერ კიდევ კარგათ მოსძლებს...
ორმოცამდე ფუტკრის ძირი გვყავს და ამათი მოვ-
ლა-შენახვა მარტო ამას აბარია.

ლაზათიანად ჩაცმულ დახურული ხორეშანა ლი-
მილით შესცქეროდა ქმარსა. გრძნობდა, რომ მაზედ
ლაპარაკობდა. ალბათ, დარწმუნებული იყო, რომ
კუდს არაფერს იტყოდა და ამიტომ თითქმის ყო-
ველ სიტყვაზე ნელნელა თავს უქნევდა. ✓

— აი, ე გვერდზე რო გიზის, — გააგრძელა ბე-
რუამ, — ეგ ჩემი უფროსი შვილია. მუშაობაში მე
და ეგ დიდხანს ვჯიბრობდით ერთმანეთსა, მაგრამ
ამ ბოლო დროს კი მაჯობა, ძალზე დამრია ხელი.
დღეს მაგაზე მოულალავი და მარჯვე მუშა მთელს
ამ მხარეში არ მოიპოვება. მეტ სახელად „პიწის-
მგელს“ ეძახიან, ნამდვილად საწელი კი ზურაბაა.

— ჩემი ჯალაბის ქვეით რო ქალი ზის, ეს ესმა-
პიწის მგლის ცოლია. კაი ალალ-მართალი და დოვ-
ლათიანი დედმამის შვილია. და ხომ მოგეხსენებათ

ქართული ანდაზა: „მამა ნახე, დედანახეო“... ესეც ჩინებული დედა-კაცია... ღმერთმა ყოველ ჩვენს მოკეთეს მისცეს ამისთანა მოსაქმე ადამიანი. პურის ცხობა და სადილ-ვახშმის კეთება ამას აქვს ჩაბარებული.

— გვერდზე რო ქალი უზის, ის ჩვენი ქეთევანია, ჩვენი მარდი, ყოჩალი ქეთევანი. ისე ტრიალებს ოჯახში, როგორც კაი ჯარა! რაც კი აქ ჩოხა-შარვალი გვაცვია, სულ მაგის ხელით არის მოქსოვილ-შეკერილი გარდა ამისა, არის ხელოსან-მასწავლებელი ე ჩვენი გოგოებისა: ასწავლის წერა-კითხვასა, ქრასა და კრვასა, წინდა-პაიჭებისა და ქისების ქსოვასა.

— ქეთოს პირდაპირ რო ქონდრის კაცი ზის, ის ჩემი მეორე შვილია. ზაქარა ჰქვია სახელათა. ბიჭო, ზაქარო, მიიდი აქა, შვილო.— ამ სიტყვებზე ზაქარა მარდად წამოხტა და მოხუც მამას გამოეჭიმა წინა. ბერუამ ხელი წამომკრა და დაბალის ხმით წამომჩურჩულა: აბა, ერთი შეხედე მაგასა!— ამის თქმა ჩემთვის სრულიად არ იყო საჭირო, ისედაც აღტაცებით შევცქეროდი ამ დევგმირ ვაჟკაცსა. სწორე მოგახსენოთ, ამაზე წამოსადეგი, მოხდენილი ვაჟკაცი მასუკან აღარსად შენხვედრია.

— დაჯექი, შვილო, დაჯექი... უთხრა ბერუამ შვილსა, და მერმე გააგრძელა: ეგ არის სანაქბო ხელოსანი: მაგის გათლილი გუთნით რო მთელი ხმელეთი გადააბრუნო, გუთანი მაინც უზიანო დარჩება. მაგის დადგული ურემი ორპირსა და კავკავში ორას ფუთ ბარგს გადიტანს და გადმოიტანს. ამასთანავე, გათქმული ფალავანია და თოფ-იარაღის

ხმარებაც ჩინებულად იცის. მეფეების დრო რო იყ-
ვეს, დარწმუნებული ვარ, კეთილშობილებას მალე
მიიღებდა თავის ვაჟკაცობითა.

ზაქარას გვერდზე რო სამი ბიჭი ჩამწკრი-
ვებულან, ისინი ე ჩემი ზურაბას ბიჭები არიან; იმათ
ქვევით რო ოთხი ბიჭი ზის, ისინი ზაქარას შვილე-
ბია. ამათში ორი ცხვარს უვლის, ორი საქონელსა.
ერთი ღორებს დასდევს და დანარჩენი ორიც მინ
წალმარაობენ, უფროსებს ეშველებიან.

— ბიჭების პირდაპირ რომ გოგოები ვამოკი-
მულან, იმათში სამი ერთი ძმისაა, სამიც მეორესი;
უფროს გოგოებს შინაური ფრინველების მოვლა
აბარიათ...

— აი, სულ ბოლოში რო პაწია გოგონა კუნ-
ტია, ის ჩემი საკუთარი შვილია ჩემი ეშმაკი და
კუდიანი მარიკაა!.. შეილო, მანდ რად წასულხარ?
მოდი აქა, მოდი... აკი სულ მუდამ ჩემთანა ზიხარ
ხოლომე! პაწია გოგონამ საჩქაროზე მოიბრინა, მო-
რიდებით შემომხედა და დაბალის ხმით წარმოსთქვა:

— დიდი-დედამ გამგზავნა: სტუმარს დაუთმე
ადგილიო.

ბერუამ ხელი მოხვია ენა-ქარტლა გოგონას.
სიყვარულით ჩაიკრა გულში და მერმე თავის გვერ-
დით მოისვა

— ერთი გათხოვილი ქალი მყავდა, — მითხრა
დაღონებით ბერიკაცმა, — ამის მუცელს გადაჭყვა
საწყალი. ბავშვი მაშინვე მე წამოვიყვანე და მას
აქეთ აქ იზრდება.

— გარდა ყველა ამათი. — გააგრძელა კვლად

მოხუცებულმა, — ორი პაწია ჩიტუნა გოგო-ბიჭი აკვნებში ბრძანდებიან. ესე, ჩემო ბატონო, ვინც კი ვინ არიან აქა, ყველანი ჩვენი — მე და ხორეშანას — შვილები და შვილის შვილები არიან. სულ კაცდა ორი სული ვართ, ძველად ესეთი დიდი ოჯახი წშირი ყოფილა თურმე... ჩემ პატარა ბიჭობაში ერთი ოჯახი მახსოვს: ორმოც სულზე მეტი ტრიალებდა შიგა. ამ ჩვენ დროში კი ესეთი დიდი ოჯახები, ვგონებ, აღარც კი სადმე არიან... ესე და ამ რიგად... როგორც მოგახსენეთ, შენ ხარ ჩემი ბატონი, აქ ყველანი ერთი ოჯახის შვილები ვართ შენ კი, როგორც წყლან გეტყობოდა, ბევრი ამათგანი სტუმრები გეგონა არა?..

— დიახ, დიახ, მართალია!... ვუპასუხე... ზოგი უცხონი მეგონნენ... ღმერთმა გამრავლოთ. უმეტესად გაგაძლიეროთ .. სულით და გულით ვინატრი, რომ აწინდელი თქვენი ერთობა, თანხმობა და საყვარული დიდხანს, დიდხანს გაგრძელებულიყოს!.

— მადლობელი გახლავართ, შენი ჭირიმე, — მადლობელი!.. გადღეგრძელოს ღმერთმა!.. მოისმა აქეთ იქიდან...

IV

ხელახლა შევეუდექით სმასა და ქამას. საუცხოვოთ მომზადებული მსუქანი დედლის ჩიხირთმა ჩამოგვირიგეს ქაშანურის ჯამებითა. ამას მოჰყვა ცხვრის ხაშლაბა, მერმე ბურვაკის ხორცი და ბოლოს გემრიელი მცვრიანი მწვადები. ყველა ამ საქმელებს ფეხ და ფეხ მოსდევდა ცოტა მომეავო, თხელი, მაგრამ

ცივცივი, სასმელად ჩინებული წითელი ღვინო, და უოველ ნაირ საკმელ-სასმელზედ უფრო მეტად მოსაწონი სანაქებო ნამდვილი ქართული, ძველი და ახალი სიმღერები.

— ბიჭო, სიმონა, გაიქე ერთი ბარი მოარბენინე, — დაიძახა მასპინძელმა, — ეს ღვინო როგორღაც ჭკუაში აღარ მიჯდება.

სუფრიდან წამოხტა ერთი უმაწვილი ბიჭთაგანი და თვალის დახამხამების უმალ მოიტანა ბარი. მოხუცებულმა თვალით ანიშნა ზაქარას. ჩვენი ქონდრის კაცუნაც მაშინათვე წამოხტა ფეხზე, ბარი გამოართვა სიმონას და მუხის ძირში, ჩრდილოეთის მხრივ, იწყო მიწის თხრა.

— მინდა — ერეკლე მეფის ღვინო დაგაღვიწხოთ!.. მითხრა მხიარულად ბერიკაცმა.

— როგორ ერეკლე მეფის?.. ერეკლე მეფის ღვინო ჩვენ დრომდის როგორ მოახწევდა?.. ვიკითხე მე გაკვირვებით.

— არა, ღვინო კი არა. ქვევრს მოგახსენებთ. ემ. ქვევრსა ჰქვიან მეფე-ერეკლეს ქვევრი.

— ნეტა საიდგან, როგორ დარქმევია მაგ ქვევრს ეგეთი საპატიო სახელი, იქნება იცოდე?..

— როგორ არა!.. გამიგონია: დიდმა ბატონმა ხშირად იცოდა ხოლმე ამ ამბის თქმა. ერთხელ თურმე ლეკი შემოესია ამ მხარეს. დიდ ბატონს ვეღარ მოესწრო ლაშქრის შეგროვება; ამდგარიყო და მთელი თავისი ოჯახითა და ამ სოფლის მცხოვრებლებით, აგერა, აიმ ციხეში შესულიყო. ლეკი მოვიდა თურმე და უოველის მხრიდან აღუა შემოართყა ამ

ციხეს. შეეტყო ეს ამბავი მეფე ერეკლეს და იმავე წამს შავარდენივით გამოფრენილიყო ის სულით განათლებული. შუალამისას მოვიდა თურმე და ახლა ის შემოერთყა ლეკებს გარეშემო. იყივლა თუ არა პირველი მამალმა, გავარდა მეფის თოფიცა. ეს ყოფილიყო ნიშანი და მაშინათვე საშინელის ყიჟინით დაერივნენ ქართველები ლეკებსა. დიდმა ბატონმაც საჩქაროზე იცნო თურმე მეფის თოფის ქექა და ისიც, როგორც ლომი გამოვარდა ციხიდან ხმალდახმალ შემოუჭიეს ორის მხრიდან და თავზარ დაცემულ ლეკებს სულ მუსრი გაავლეს თურმე. ლეკების ბელადი, ვილაც გაღეგა, თითონ ერეკლე მეფეს გადმოეგდო ცხენიდან.

— აი, დიდება შენდა ღმერთო!.. წამოიძახა ზურაბამ, — ე ჩვენ სოფელში რო გაღეგაშვილები არიან იქნება იმ ბელადის შთამომავლები იყვნენ?

— არა, შვილო, — უპასუხა მოხუცებულმა, — როცა მტრის წინამძღვრები ტყვეებათ მოჰყვებოდნენ ხოლმე და ქრისტიანობას იღებდნენ, ჩვენი მეფეები კეთილშობილებასა, ყმასა და მამულს აძლევდნენ თურმე... ეს ჩვენი გაღეგაშვილები კი გლეხები არიან... გამიგონია: მაგათ ერთი ბოროტი და მოუსვენარი პაპა ჰყოლიათ... ამ კაცისთვის მეტ-სახელად „გაღეგა ლეკი“ დაერქმიათ. მერე იმის შვილებზედაც გადმოსულა ეს სახელი... მაგათი ნამდვილი გვარი თითისტარაშვილია. ეს ნამდვილი გვარი დავიწყებას მისცემია და მეტი სახელი კი გვარად გადაჰქცევიათ...

— მერე, ბერუა, მერე? ქვევრს როგორღა

დარქმევია ერეკლე მეფის სახელი?. მოვაგონე მე.

— ჰო, დიახ!. იმას მოგახსენებდით, შენ ხარ ჩემი ბატონი, ლეკები რო სულ ამოეხოცათ, დიდ ბატონს ეთხოვა მეფისათვის და სადილათ დაეპატიჟნა... ამ მუხის ქვეშ გაეშალათ სუფრა.. აგერა ამ ქვაზე იჯდა თურმე მეფე ერეკლე.. მოხუცებული მიტრიალდა უკან და ხელი გაიშვირა ერთი გათლილი ქვისაკენ. მე წამოვდექე, მივედი ამ ქვასთან და დავათვალიერე. მუხის შიგ ძირში ორ მის ვეებერთელა ფესვებს ზურგი ჰქონდათ მიწის ზემოთ ამოშვებული. ამ ფესვებ შუა, ვინ იცის როდის, ჩაუდვიათ სუფთად გათლილი ოთხკუთხი, ლურჯი მაგარი კლდის ქვა. ფესვები გაზდილან, მძლავრად შემოხვევიან ქვასა, თითქო ნდომებიანთ მისი დაფშენეტა, მაგრამ უკანასკნელიც გაჯიუტებია, დასდგომია მაგრა და პირით თვით შემჯდარა იმ ფესვების კანსა და ხორცში. ამ ჟამად ისეა გამაგრებული მათ შორის, რომ მცირეოდენ საძრაობასაც კი ვერ უზამთ, მთელი გუთნეულიც რომ მოუბათ..

— დიახ, ჩემო ბატონო, — განაგრძო კვალად მოხუცებულმა, როდესაც დავბრუნდი სუფრასთან:

— სადილზე ამ ქვევრის ღვინო მიიერთვა თურმე მეფე ერეკლემ და სულ მოიწონა. ამ დროდან მოხსენებულ ქვევრს იმ კურთხეულის სახელი დარქმევია.

— მაშ, სჩანს, ბერუა, ეს ვენახი შემდეგ გიყიდნია იმ დიდი ბატონის მემკვიდრეებისაგან?.

— დიახ, დიახ!. ეს ვენახი, ერთი სამოციოდე დღის სახნავ-სათესი მამული, ცოტაოდენი ტყე და საძო-

ვარი მაგათგანი მაქვს ნაყიდი. ღმერთმა ააშენოთ!. ერთი ოთხიოდე დღის კარგი ნაფუხარი დიდმა ქალბატონმა მაჩუქა. ამ მიწაში ეხლა მშვენიერი ვენახი მაქვს გაშენებული. შარშან ერთი ვალაკადუკანტი მოიყვანეს ამ ჩემმა ბედოვლათმა ბატონიშვილებმა, იმ ვენახს შემოუარეს, მერე მე დამიბარეს და მითხრეს: ეს ვენახი უნდა ჩვენ დაგვიბრუნო, თორემ გიჩივლებთ და წაგართმევთო. მე, რასაკვირველია, უარი უთხარი. მაშინ ი ადუკანტმა მკითხა: რა საბუთის ძალით გიჭირამს ეგ მამულიო?. მისამარეს ნებაყოფლობით აიღე მაგ მამულზე ხელიო, თორემ საჩივრამდე თუ მიდგა საქმე, მთლად შენს მამულზე გიჩივლებთ და საერთოდ ყველადან ხელს დაგაბანინებთო. არც ამ მუქარას შეუშინდი.

— მთელი ოცდა ათი წელიწადი ვიყავი მაგათსა მოურავათა,—განაგრძო კვალად ბერიკაცმა ცოტაოდენი სიჩუმის შემდეგ:—იქნება კიდევაც დავრჩენილიყავ, მაგრამ, რაკი დიდი ბატონი გარდაიკვალა და ეგ უბედური ბედოვლათები სახლში დაბრუნდნენ, ყველაფერი უკუღმა დატრიალდა მაგათ ოჯახში... იმასაც დიდი ვალი დარჩა და ახლა მაგათ უმატეს და უმატეს... ქალაქში რაც კი რამ სასახლეები და ბაღები ჰქონდათ, სულ ვალში დაეყრდათ. მერე აქაურ მამულებს მიჰყვეს ხელი.. ძვირფასი მთა და ბარი ნახევარ ფასად ჰყარეს აქეთ-იქითა. ბევრი ვეჩიჩინე, ბევრი ვარიგე, მაგრამ ჩემი ერთგულობისათვის მუქარისა და უშვერი ლანძღვა-გინების მეტს ვერაფერს ვიღებდი... ავდექი მეცა და დავანებე თავი. ოჯახი იღუპებოდა და რილასთვის.

უნდა გაეჩერებულყოფ იქა... ფული მქონდა შვე-
როვილი, ღმერთმა ხომ იცის, ალალ-მართლათა...
და ამ ფულით შევიძინე მაგათგან ის მამულები, რო-
ნელიც წელან მოგახსენე. არა მგონია, ღმერ-
თმა ეს ცოდვით ჩამითვალოს!.. ათასი გარეშენი,
ცხრამთას იქიდან გადმოთრეულები ყიდულობდნენ
მაგათ მამულსა და ჩემზე ხომ უფრო უპრიანი იყო...

— მამა ჩემო, მოდი მაგ ლაპარაკს თავი დავა-
წებოთ, სტუმარმა არ მოგვიწყინოს;— დაიძახა ზაქა-
რამ... აი ქვევრიც მოხდილია და აბა ერთი დაა-
ჯაშნიკეთ ცივ-ცივი ღვინოი... ამ სიტყვებთან ერ-
თად სველ-სველი ჩარექაც გაუწოდა ტოლუმბაშსა..

მოხუცებული დაფაცურდა, თითქო შერცხვა
გაბმული ლაპარაკისაო. ქუდი მოიხადა და ხელსა-
ხოცით შუბლიდან ოფლი მოიწმინდა: მერე გაშვე-
რილი ჩარექა ჩამოართვა შვილსა, მთელს სუფრას
თვალი გადაავლო, პირჯვარი გადიწერა და წარმო-
სთქვა:

— ღმერთო მაღალო და პატიოსანო წმინდაო
გიორგი, ღვთის მშობელო დედავ და პეტრე-პავლო-
ბის მაღალო და ძალო!.. თქვენ იყავით შემწე-მფა-
რველი მთელი საქრისტიანოსი, ჩემი ოჯახის, ჩემი
სტუმრისა... შეიწყალეთ ჩვენი მამა-პაპანი, ყველანი,
ვისაც აქ ვენახში უმუშავნია; ვისაც ეს ქვევრი ჩა-
უგდია და ამ ქვევრის ღვინო გულის წმინდით და-
ულევია!!.. „დალია, და მერე მე გადმომცა სველი
ჩარექა. მეც მოკლეთ გავიმეორე ტოლუმბაშის სა-
დღეგრძელო, დავლიე და გადავეც ზურაბას. ზურა-
ბამ ჩარექა გადასცა ზაქარასა. უკანასკნელმა აამსო

ჩარეკა და მიართვა ისევ მოხუცებულს. ქალებმა და ახალგაზრდა—წვრილფეხობამ პატარა ყანწებით დალიეს. ბერუამ ახლა ჩემი სადღეგრძელო დალია, ჩარეკა ზურაბას გადასცა და მხიარულად დაიძახა:

— აბა, კატო, შეილო... ერთი მრავალჯამიე დაიძახე... შენებური მრავალჯამიე, შეილო!

ჰაერში გაისმა ნაზი მალალი ხმა ზურაბას უფროსი, გასათხოვარი ქალისა. მიძახილი უთხრა იორდანემ, ზაქარას მეორე ბიჭმა. . სხვებმა დააგუგუნეს ბანი. ჩინებულმა ქართლურმა მრავალჯამიე იწყო მოხდენილად, ხმა შეწყობილად გრიალი. ემხში შესულ გასათხოვარ ახალგაზდა ქალს ფუნთუშა ლამაზი ლოყები თურაშაული ვაშლივით დაებრაწა; კუნაპეტივით შავი თვალები სიცოცხლის ნაპერწკლებით აევსო. ბანმა თავგამოდებით ძლიერად დაიგუგუნა, მაგრამ მთქმელიც არ ჩამორჩა უკანა: ზარივით წკრიალა ხმა ეშხიანად მოეფინა ძირს სუფრას, ზემოთ სურნელოვან გაკრიალებულ ჰაერსა და მალლა, მუხის უთვალავ ყლორტებსა და ფოთლებ შორის იწყო ტრიალი. ამ ხმაზე გაღვიძებულმა ნიავმა თავისი პაწია ფრთები გაშალა, აქეთიქით მარდათ გაისრიალა, მწვანე ხასხასა ფოთლებს ფთხილად შეეხო და ნაზი შრიალი დააწყებინა. ეს შრიალი ფიანდაზათ გადაეშალა წინ ლამაზი მომღერლის ხმასა. სულიერი და უსულო ბუნება ერთმანეთს გადაეხვივნენ და შეერთებულის ძალით თავიანთ გარეშემო უმაღლესი სიტკბოება და კმაყოფილება მოჰფინეს.

სიამოვნებით აღტაცებულმა ბერიკაცმა ჩაახვე-

ლა, ხმა ამოიწმინდა, ზურაბას გადახედა და, მართალია ცოტა დანებრეულის, მაგრამ ჯერ კიდევ მაღალისა და ვაჟკაცურის ხმით შემოსძახა ხევური. ზურაბამ დასძახა. ბანმა ხელახლა იწყო გუგუნის. მოხუცებული გამხიარულდა, წელში გასწორდა, ყმაწვილკაცობა მოიგონა და ძველებურად დასტყვივლა თავის უფროს შვილსა, დასტყვივლა და ჩააკრიალა:

„ქსნის ხეველები შეითქვენ
გარდვიქცეთ მტკიცე ძმანო!.
ჩაუხტეთ მუხრან-ბატონსა,
თავს დავაქციოთ ბანო;
შეუხტეთ, გამოვიტანოთ
თვალ მარგალიტი, ლალიო...
მოვტაცოთ, წამოვიყვანოთ
თვალ-ჟუჟუნ თეთრი ქალიო.

ხევურს მოჰყვა სუფრული, შემდეგ სთქვეს ძველი ქართული სიმღერები: ყურშაო, ჩანგურო და სხვანი. ბოლოს წამოვიშალენით სუფრიდან და დავებით ფერხული. აქ პირველს ამბობდნენ ზურაბასი და ზაქარას უფროსი ბიჭები. მამა-პაპის გავლენა ცხადათ ეტყობოდა მათ საუცხოვო ხმასა და კილოს! ფერხულს, როგორც ჩვეულებაა, მოჰყვა მოხდენილი, ცოცხალი ცანგალა, რომლის დროსაც ამათმა გოგო-ბიჭებმა კაი ხანს იცეკვეს და ურბინეს ლეკური.

V

გათავდა სადილი, ალაგდა სუფრა. ქალები და წვრილფეხობა ვენახიდან გავიდნენ. ჩრდილ ქვეშობილ და სურნელოვან მწვანე ბალახზე წამოვწე-

ქით დანარჩენნი, ესე იგი ბერუა თავისი ორი შვილით, მე და სამი ახალგაზდა საქორწილო ბიჭები: იორდანე, სვიმონა და დათიკა ესენი ხშირადა დგებოდნენ ფეხზე და სველი ჩარეკით მოჰქონდათ ჩვენთან ცივ-ცივი წითელი ღვინო. როცა ჩარეკა ჩემთან მოვიდა, მე ხელმეორედ ვისურვე ერთობა ძველი ოჯახისა და მოკლედ, ორიოდე სიტყვით, განვმარტე—რა ვნება და რა დიდი ზარალი მოაქვს გაყრა-გაყოფას, რომელიც ასე ხშირდება აწინდელ საქართველოში. ამ სიტყვებს ბერუა გულის-ხმიერებით უგდებდა ყურსა; ერთ წამს კიდევ შევამჩნიე, რომ მის გონივრულ ჩაფიქრებულ სახეს რაღაც მოსალოდნელმა შიშის შაფმა ღრუბელმა გაურბინა, მაგრამ ბერიკაცმა დაუბატიყებელი სტუმარი მალე მოიშორა თავიდან, იმედიანად გასწორდა წელში და მტკიცედ წარმოსთქვა:

— ფიქრი არ არის! სინამ მე და ჩემი შვილები, ცოცხლები ვართ, ჩვენს ოჯახს არა დაუშავდება. რა! როცა ჩვენ აღარ ვიქნებით, დანარჩენთ უნდა იზრუნონ მისთვის. მათ სულსა და სინიდისს მოეკითხებათ, თუ ამ ოჯახს რაიმე ზიანი მოუვიდა.

— საქორწილო ბიჭები რამდენი გყავთ, ბერუა, წელსა?.. დავეკითხე მე.

ბერიკაცი ცოტა ჩაფიქრდა, დინჯად გაიღიმა და მიპასუხა:

— მიგიხვდი, შვილო, მიგიხვდი მაგ საკითხის აზრსა!.. საქორწილო ბიჭები აი ესენი არიან!.. და ხელი გაიშვირა იქ მყოფ ყმაწვილ ბიჭებისაკენ. სამი ქორწილი მოხდება წელს ჩვენ ოჯახში. სამი ახალი

უცხო შვილი შეემატება მას. როგორ შევხვდებით, როგორ მოუპოვებდებით და გავიტანთ ერთმანეთს, ამაზე ბევრჯელ ჩავფიქრებულვარ. და ყოველ ანგვარ შემთხვევაში ნუგეშათ ორი რამ ამიჩნდება ხოლმე: პირველი ის გახლავთ, რომ ჩემი ოჯახის საფუძველი კარგა მაგრა დგას. ოჯახი მომეტებულად მაშინ ირყევა, როცა ნაკლებულება და სიღარიბე ეპარება; როცა საქმელ-სასმელი ისე შემცირდება, რომ ერთ ლუკმა პურს ორი და სამი პირი წაეტანება. ჩემ სახლ-კარს, ღვთის მადლით, ამ მხრიდან საფრთხე არ მოელოს: ას დღიურზე მეტი სახნავ-სათესი მამული გვაქვს; დაუმატოთ ამას ორი დიდი, ჩინებული ვენახი... ახლა ცოტაოდენი ფულიც გვიტყავის დარღუბლის კიდობანში!.. მეორე ხიფათი ჩემს ოჯახს ახალი რძლისაგან მოვლით. თუ ღმერთმა ინება და ჩვენი შესაფერი რძლები შეგვხვდნენ, ხომ კარგი; თუ არა და, მაშინ საქმეს სხვანაირად უნდა მოვლა, სხვა წამლის ხმარება იქნება საჭირო! ხომ იცით, ბიჭებო, ის წამალი?.. გასძახა ბერუამ შვილი-შვილებს.

— რომელ წამალს ამბობ, პაპა, რომელსა?.. გაისმა რამდენიმე ხმა.

— პაპაი, თქვე ცუდლუტებო, თქვენა!.. დაგავიწყდათ განა?.. იმ წამალს ვამბობ, რომელიც თქვენმა მამებმა მთავრად თავიანთ ახლად მოყვანილ ცოლებს... ახლა?.. მიხვდით თუ არა?..

მიხვდით, მიხვდით!.. სიცილით დაიძახეს ბიჭებმა. ზურაბასა და ზაქარასაც პირლიმილი გადაეფინათ.

• — თუ საიდუმლო არაფერია, შეიძლება მეც შევიტყო ი თქვენი, როგორცა სჩანს, უებარი წამლის ამბავი?.. შევეკითხე ოჯახის უფროსს.

— რატომ, შვილო, რატომ!..— წარმოსთქვა უკანასკნელმა, საიდუმლო აქ არაფერია... პირიქით, სასარგებლო საქმე, რაც უფრო გახმიანდება, ის უფრო კარგია! ბევრჯელ მითქვამს ეს ამბავი და დღესაც, რატომ, მოგახსენებთ. ბერუა წამოჯდა, საბაასოთ მოემზადა... .

. — ბიჭო, დათიკა, — დაიძახა მან, — მოდი ერთი ჩარეკა ღვინო მომიტანე, ყელი როგორღაც ამომებრინწა .. დათიკამ საჩქაროზე აასრულა ბძანება მოხუცებულისა. ამან დალია, დაგვალევიანა და მერმე იწყო.

VI

— ერთ წელიწადს ამ ჩემმა ზურაბამ მოიყვანა ცოლი, მეორე წელიწადს ზაქარამა. ამნაირად, თითქმის ერთსა და იმავე დროს ორი უცხო შვილი დატრიალდა ჩვენს ოჯახში. წინაპირველად ეს ორი ახალგაზდა ქალი როგორღაც ვერ მორიგდნენ ერთმანეთში. ნაცვლად ერთობისა და სიყვარულისა, ისინი გამოუქნელ მოზვრებივით იწევდნენ აქეთ-იქით. ერთხელ, დიდ შაბათ საღამოს, — შევეწიოთ წმინდა აღდგომის მადლი!.. — მე და ამ ჩემმა შვილებმა ჩავიცვით ახალი ტანისამოსი, ჩავიწყეთ ჯიბეში ოროლი წითელი კვერცი, კალმუხის ბუხრის ქუდებში თითო კელაპტარი ჩავირქეთ და გავწიეთ საყდრისაკენ. დაკლული ინდოური, ყვერულები და დედლები გასაკეთებლად და მოსახარშათ ჩავაბარეთ ქა-

ლებსა და ვუთხარით: აბა, ქალებო, დაამზადეთ ყველა ეს და მერე თქვენც წამოდით ეკლესიაში... ქვევრს კი თვითონ ჩვენ მოვხდითო. გავედით სახლიდან. მთელი კარმიდამო ჩვენი საყდრისა დღესავე იყო განათლებული. ყმაწვილ ბიჭებს ქალიდან მოეტანათ დიდრონ-დიდრონი ხმელი კუნძები, მიეწყათ ერთმანეთზე და წაეკიდებინათ ცეცხლი. ცეცხლის ალი სისწრაფით მოსდებოდა ამ კუნძებს და სასიამოვნო გუზგუზით ლაღლაღებდა წითლადა. ნაადრევი გაზაფხულის ცივი ღამე იყო. ახლო-მახლო მთებზე ჯერ კიდევ არ იყო თოვლი სრულიად გამდნარი, ამის გამო აქედან კარგა საგრძნობელი სიცივის სუსხი მოდიოდა. მოწმენდილ ცაზე სავსე, გაბაჯრული მთვარე იდგა, ბედნიერ საქრისტიანოს ისეთის კმაყოფილებით გადმოსცქეროდა, რომ გეგონებოდათ, ისიც და მისი პაწია შვილებიც—ვარსკვლავებიც—ქრისტეს აღდგომას დღესასწაულობენო. ამ მიზეზების გამო იმ ღამეს სიცივე კარგა ღაზათიანად იკბინებოდა, ამიტომ ცეცხლი ჯერ კიდევ გემრიელი იყო. დართული, სიხარულით გატკრული გოგო-ბიჭები რამდენსამე რიგათ შემოხვეოდნენ ამ მღვდელის ქიაკოკონას, უკრამდნენ დაირასა და მუზიკას და მარდის ცქრიალით უვლიდნენ ლეკურსა. მივედით ჩვენცა. მთელი სოფლის მცხოვრებელთა აქ მოეყარათ თავი. ღრმად მოხუცებული, თმა-თეთრა ბერიკაცები, შუა ხანში შესული ჯანითა და ღონით სავსე ვაჟკაცები და ახლად წვერულვამ აკოკრებული სანფო ბიჭები ერთმანეთში არეულიყვნენ. მოთამაშე გოგო-ბიჭებს სალტასაკით

შემოვერტყით გარეშემო და დავაბით ძველებური, ნამა-ჰაპური ფერხული. მე მაშინ ჯერ კიდევ კაი ჯავარზე ვიყავი; ამოვახველე, ამოვიწმინდე ყელი და შემოვძახე: წმინდა გიორგი ცხოველო, ცხოველო!. ჩემ პირდაპირ ფერხულში იდგა ოთხმოცი წლის ბერიკაცი თევდორე ნიჩბიტარაშვილი. გაიგონა თუ არა, ბატონო, ჩემი ხმა, ამ მოხუცებულს რაღაც დაემართა: სახე, თვალები გაუბრწყინდა, თავი აიღო მალა და დამძახა: „შენ სალოცავად მოველო, მოველო“!.. იმ ბრწყინვალე დღესასწაულსა ვფიქვამ, რომ დღესაც კი ჟრუანტელი მივლის ძარღვებში, როცა ი დალოცვილის ხმა მაგონდება. იმ ხელა ბერიკაცმა ისე დაიჭექა, როგორც მებხა. წინაპირველად თითქო ყველანი შევეკრით!.. ყველამ კარგათ ვიცოდით, რომ თევდორე ერთ დროს განთქმული მომღერალი იყო; მაგრამ მას შემდეგ, რაც ერთხელ, ნადირობის დროს, უცაბედათ კაცი შემოაკვდა. მისი სიმღერა აღარავის გაგვეგონა. ესე გაატარა თითქმის ოცი წელიწადი, და გვეგონა, რომ თევდორეს სიმღერაც დაავიწყდა და ხმაც წაერთვაო. მაგრამ დაილოცოს ღვთის სამართალი! რაც კი ნამდვილად იმასაგან ჰქონია კაცს მიცემული, ის აღვილათ აღარ წართმევია!.. მცირე ხნის შეკრთომას მალე მოჰყვა საერთო აღტაცება. ბანმა ისეთი ძლიერებით დაიგრიალა, თითქო მთა და ბარი ირყევიაო. მე ბევრით უმცროსი ვიყავი თევდორეზე. ამიტომ თავი გამოვიდე. შემოვიკრიბე ძალი და დაკვივლე: შედონებულსა ჩემს გულსა, ჩემ გულსა!... „შენი ჭირიმე, ბიჭო ბერუა, შენი“!.. დამძახა მო-

ხუცებულმა და უფრო მეტის ძალით შესძახა: „შენი წყალობა მოეო, მოეო“!.. ოცი, ოცდა ათი კაცის ბანი გრიალებდა, გუგუნებდა და ჩვენც, ამისაგან ფრთებ შესხმულნი, მალლა და მალლა ავდიოდით, ახალგაზდებზე უფრო მეტად ვბუქნავდით, ვკუნტრუშობდით და თანაც სხვა და სხვა კილოზე ვატრიალებდით ხმასა. აქ ბერიკაცი გაჩუმდა. თავი ძირს დახარა და დაღონებით გვერდზე გაიქნია ხელი... მერე ჩარქვა მოითხოვა, დალია და დაბალის ხმით წარმოსთქვა:

— არა, შვილო. არა!.. ღმერთს ერწმუნე. რომ ბევრში ძველი დრო სჯობდა ახალსა... სადღაა ახლა ისეთი დროს ვატარება!.. იმნაირად მიგებება ბრწყინვალე დღესასწაულისა?... ან სადღა არიან ამ ჩვენ დროში მოხუც თევდორესთანა, დიდ-დედა დარეჯანასთანა, ან თუნდა ზედადგრიანთ ტეტისთანა ადამიანები?... მღევები იყვნენ, მღევები ის დალოცვილის შვილები... ღვთის წინაშე, დროც კი ისეთი იყო მაშინა... ხალხი თითონ ზრუნავდა თავისთვისა... თავადი, აზნაური, ღვდელი, ერი— ყველანი დღე და ღამ იარაღში ისხდნენ და გამწარებით ებრძოდნენ მტერსა... ეს გამუდმებული ბრძოლა, თავ-გამოდება გმირებსა ჰბადავდა, ვაჟკაცებსა ზრდიდა... ახლა? ახლა საყოველთაო სამსახური აღარაფრისა გვაქვს, ამიტომ დაკარგულია ერთობაცა, სიყვარულიცა, ერთმანეთის გატანაცა... ყველანი ცალ-ცალკე გავრბივართ. ყველას ჩვენი საკუთარი თავი გაგვჭირვებია და ამის გამო მხოლოდ

ჩვენ თავისთვის ვზრუნავთ. გმირები და ვაჟკაცები ქონდრის კაცუნებათ გადაიქცნენ!..

— არა, მამაჩემო, — სთქვა ზაქარამ და უღვაშზე. გადაისვა ხელი, — საქმე არც ეგრეა, როგორც შენ ამბობ!.. მოხუცებულმა ჩაიცინა. მერე მოუბრუნდა ზაქარას და უთხრა:

— მე, შეილო, საერთოზე ვლაპარაკობ... თითო-ორალა შეიძლება ეხლაც გამოვიდნენ წარჩინებული ვაჟკაცები, მაგრამ ორიოდ-სამი რა ანგარიშში ჩასავდებია. როცა მთელ ქვეყანაზე ლაპარაკობ?...

მეც მიხდოდა მეთქვა რამე მოხუცის შეხედულობის წინააღმდეგ, მაგრამ ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ, უკან დავდექ. ბერიკაცი ძველ დროს აქებდა. იმ გარემოებათა და ვითარებასა, რომელთა განხორციელება თვითონ იყო... ასეთ შემთხვევაში დაწყნარებული ბაასი შეუძლებელიც არის და უსარგებლოცა!...

VII

ბერუამ კვალად ჩამოგვიტარა თავისი ჩარევა და შემდეგ იწყო გაგრძელება შეწყვეტილი ამბისა: — ფერხულს, როგორც წესია, შენ ხარ ჩემი ბატონი, მოჰყვა ცანგალა. ამდროს ქალებიც წამოდგნენ წინა. შედერებულმა გოგობიქებმა იწყეს ცეკვა-თამაში. უცებ ქალების მხრიდან საცეკვაო წრეში გამოვიდა ლაზათიანად ჩაცმულ-დახურული მოხუცი დარიჯანა. ეს დედაბერი თევდორეზე თუ არ უფროსი, უმცროსი, მაინც წარასოდეს არ იქნებოდა. ღმერთ-მააცხონოს!.. მთელს ამ ჩვენს მხარეში ის იყო ბებიაცა და ექიმიც. მე მგონია, ღვთის საწყენ

სიტყვით არავინ ჩამომართმევს, რომ ხმა მაღლა აღვიარო: ის ცხონებული უფრო კარგათ გეწამლობდა, სინამებლანდელი განათლებული „დობტურები“. დიდი-დედა დარეჯანა ყოველ დღე და ყოველ წამს ჩვენში ტრიალებდა, ყველას კარგად გვიცნობდა. რა გვრებდა, რა იყო ჩვენი მაწყინარი, როგორი თვისებისა და ხასიათისანი ვიყავით, ყველა ეს კარგათაჰქონდა შესწავლილი და დახსომებული. ავადმყოფი ისე მიდიოდა იმასთან, რომ არც გული უკანკალებდა არც თავრეტი ესხმოდა და ყველაფერი ავიწყდებოდა ახლანდელი „დობტურები“ სწორედ „ნაჩა-ლნიკებსა“ ჰგვანან... შარშან წელის ტკივილი დამჩემდა. ვითმინე, სანამ ძლიერ არ შემაწუხა, მერე კი ავდექი და წავედი „დობტურთან.“ შევედი თუ არა საავადმყოფოში, ფერშალმა უკანვე გამომაგდო, თანაც ისეთი დამიჭყივლა, რომლის მზგავესი პრისტავისაგანაც არ გამიგონია. ფეხები მტვრიანი გაქვსო და გაიწმინდეო. ავასრულე მისი ბრძანება და მერე ისევ უკანვე შევედი... პატარა ხანს უკან გააღეს მეორე ოთახის კარები და შემიყვანეს „დობტურთან“. სკამზე იჯდა გადაწოლილი, თვალე-ბზე სათვალეები აფთარებინა და ისე გამოიბღვირებოდა, როგორც მგელი. სტოლზედაც რაღაც გაკრიალებული დანები კვერ-ჩაქუჩები, სხვა და სხვა ფერის ქაღალდები და წამლები დავინახე. გეფიცებით ღმერთსა, რომ ამხელა კაცი შევზინდი: გულმა ძალზე დამიწყო კვერიკით ცემა. . რა გტკივა?... დამიძახა რუსულად „დობტურმა“... ამიხსნეს იმის ნათქვამი, მაგრამ ისე ვიყავ გადარეული, რომ წელის

მაგივრად გული წამოვიძახე. საჩქაროზე გადამხადეს გული. მოვიდა ახლო „დოხტორი“ და, გულის ცემა რო დაინახა, რაღაც წაიბზუკუნა. შორიდან ყური მამადო გულზე და მერე მითხრა: არც არაყი, არც ღვინო აღარ დალიოვო... გვერდაზე ფეხით არ ახვიდეო, ბევრი არ იმუშაო, არ გაჯავრდეო, თორემ გული ისე გაქვს დაზიანებული, რომ, თუ ესენი არ შეასრულე, მალე მოკვდებიო... წამალიც მამცეს პატარა შუშითა. ის შუშა იმავე საავადმყოფოს კედელს მივანარცხე, შევჯექ ცხენზე და წამოველ სახლში. ერთი კვირის შემდეგ თავის თავად გამიარა წელის ტკივილმა. ეხლა რამდენსაც ღვინოს და არაყს დავლევ ხოლმე, იმდენ ჩვენებურ ლოცვა-კურთხევას უგზავნი იმ ვაჟბატონებს. მერწმუნეთ, რომ ჩვენ დარეჯანას ესეთი სულელური შეცდომა არასდროს არ მოუვიდოდა. ის ცხონებული ხომ კარგათ გვიცნობდა, მაგრამ სანამ ავადმყოფს დაწვრილებით არ გამოჰკითხავდა, არ გაშინჯავდა, წამალს ერთ წვეთსაც არ მისცემდა. ამასთანავე იყო ჩინებული, ქირსა და ლხინში ნათესაურად გამოსადეგი, გამოცდილი ადამიანი. ვგონებ როგორც აქ, ჩვენში, ისე რამდენსამე ახლო-მახლო სოფლებში ისეთი არავინ მოიპოვებოდა, რომელზედაც ამ პატიოსან ადამიანს რაიმე სიკეთე, ამაგი არ ჰქონოდა დათესილი. ამიტომაც ყველას უყვარდა ისა და ყველანი—დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი,—მას ეძახოდნენ „დიდი-დედა დარეჯანასა“. აი სწორეთ ამ ბებრუკუნა დარეჯანამ გაიძრო ფეხიდან ქოშები, ქათიბი გაისწორა, გაშალა ხელები დი კობტად ყელმოღე-

რებულმა მარდათ დაუარა ლეკური. მის გამოთავაშებას მოჰყვა საერთო მხიარულება: ცანგალა გაცოცხლდა, ტაში გაძლიერდა. უცებ შესდგა ჩვენი დარბაისელი მოლეკურე და ვილასაც მძიმეთ დაუკრა თავი. მივიხედე იქით და დავინახე ზედადგრიანთ ტეტია. ტეტიაც კარგა ხნიერი ბერიკაცი იყო: სამოცდა ათს მიტანებული იქნებოდა. ტანდაბალი, ძვალ-სხვილი და ძარღვიანი კაცი იყო. ხშირი ქალარა წარბები მუდამ მრისხნებით ჰქონდა შეკრული, გაღიმებულს ძნელათ თუ დაინახავდა მას ადამიანი. სიარული იცოდა დინჯი, აუჩქარებელი. ლაპარაკის დროს დიდი, მორგვისოდენა თავი მუდამ ძირს ჰქონდა დახრილი და იქიდან ისე გამოიბღვირებოდნენ მისი თვალები, თითქო მთელს ქვეყნიერობას საშინელ დასჯას უპირებს მათი პატრონიო. სოფელში ის ყველას ეჯავრებოდა. ტეტია რომ სუსტი, უღონო კაცი ყოფილიყო, ეჭვი არ უნდა, ამ სიძულვილის გამოაშკარავებას სოფელი არ დაუგვიანებდა, სასაცილოდ აიგდებდა, უსაქმო გოგო-ბიჭვბასგან მოსვენება აღარ ექნებოდა, მაგრამ დღეს ვის ებათავი ცოცხალი, რომ მისთვის გაებედნა რამე?!. ამზედ ღონიერი, უშიშარი და გამბედავი ადამიანი იმ ძველ დროშიაც კი არავინ მინახავს. სამოცი წლის კაცმა ბარე სამჯერ გაითხოვა კიდაობაში ხიზამბარელი .. სახელოვანი ფალავანი მოერიდა. სადღაც ეწვნია მისი მღვეური ღონე და მას აქეთ „შორ და მშვიდობით“ არჩევდა მასთან საქმის დაჭერასა. ამისთანა დევგმირი კაცისა, რალა თქმა უნდა, არა თუ ქალებსა და ახალგაზღობას, დიდ კაცებსაც კი გვე-

შინოდ. ა: მომავალი რომ დაგვენახა, გზას აუქცევდით ხე აღმე. ლაპარაკისა და მუშაობის დროს ვერ იდებოდით. სამუდამოთ უცოლშვილოთ დარჩენილი, დედს უკაცებს ზიზლით უცქეროდა. საზოგადოთ სასმელი ეჭვავრებოდა, მაგრამ თუ როგორმე მოხდებოდა და ჯიბრით დაიწყებდა სმასა, ორ-სამ თუნგ ღვინოს ოსე გადაყლაპამდა, თითქო აქ არაფერი ამბავიაო... და ხინი, ყოველნაირი დროს გატარება ჭირივით ეჯავუებოდა; მაგრამ იმ აღდგომა ღამეს ისიც მოსულიყო საყდრის კარებზე, ისიც გაეტაცა საერთო მხიარულებას და წარბ-გაშლილი ჩამდგარიყო ხალხში. როცა მის წინ დიდი-დედა დარეჯანა შესდგა და თავის დაკვირვით სათამაშოდ გაითხოვა, მან ჯერ მთელი სახით გაიღიმა, მერე გაჯავრებით ჩაიქნია ცალი ხელი და გადასდგა წინ რამდენიმე ნაბიჯი. შესწყდა უცებ ცანგალა, შესდგა ტაშისცემა, ჩამოვარდა სამარისებური სიჩუმე: მთელმა იქ მოსულმა ხალხმა სული განაბა.

— რას გაჩუმდით ხალხო?. დაიძახა მოხუცებულმა დარეჯანამ, — გააჩაღეთ ცანგალა, დაუკარით ტაში!.. ამ დაძახებამ გამოათხიზლა ხალხი; საჩქაროზე გაისმა სიმღერა, მას მოჰყვა ტაში. დარეჯანამ დაურბინა, მას გაჰყვა ტეტია. მოხუცი დედაბერი სუმბუქ პეპელასავით მარდათ დახტოდა, ტეტია-კი ძლივს ამოძრავებდა თავის ღონიერ და ტლანქ ფეხებსა. ერთ აღგილზე შეჩერდა და დათუნისასავით უშნო-ულაზათოდ იწყო ყუნცული.

— არიქა, დიდი-დედა, — იძახოდა აქეთ-იქიდან ახალგაზდობა; — ყოჩაღათ დაუარე, ყოჩაღათ, დიდი-დედა... ტეტია ამ არ. გაჯობოს!...

— არიქა, შენი ჭირიმე, ტეტია!.. ყვიროდნენ მეორე მხრივ გაყმაწვილებული ბერიკაცები... მართლად დაუარე... არ შეგვარცხვინო!! შენებურად, ერთი შენებურად დაჰკა მაგრა ფეხი, 'შეხტი და შეიკუნტრუშე!.. ერთი ქართული ანდაზა ამბობს: „შეაქეს მურია და შეაქამეს მგლებსა“-ო. ჩვენ საწყალ ტეჯიასაც სწორეთ ამ მურიას საქმე დაემართა. ჩვენმა ძახილმა წააქეხა, გააბრიყვა. მართლა დაჰკრა ღონივრად დედა-მიწას ფეხი და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ისკუბა, ძირს დაშვების დროს როგორღაც უცაბედათ ფეხი ფეხს წამოიკრა და უცებ ამოდენა ხალხში აგუზგუზებულ ცეცხლის წინ გულად-მა კი გაიშხლართა! მაყურებელთ აქამომდეც ძლივს ეჭირათ სული კბილითა, ახლა კი ველარ შეიკავეს თავი: წასკდათ გულიანი სიცილი და ხარხარ-კისკისით გაიფანტნენ აქეთ-იქითა. ჩვენი შერცხვენილი მოლეკურე კი ნელ-ნელა წამოდგა ფეხზე, ერთი მგელივით დააკრაქუნა კბილები და, რაკი ახლო-მახლო ველარავის მოჰკრა თვალი, ძუნძულით გასწია შინისკენა.

VIII

ესე მხიარულად—სიმღერასა და ცეკვაში, სიცილსა და ხუმრობაში გავატარეთ,—შენ ხარ ჩემი ბატონი,—მთელი ის ღამე, ტრედის ფრად რომ ინათლა, მღვდელ-დიაკვანიც მობრძანდნენ და გაისმა ზარის წკრიალიცა. უფრო ხნიერი, დარბაისელი ხალხი გავყევით მათ და შევედით საყდარში. მკირე ხნის შემდეგ შემოსილი მღვდელი გამოვიდა ტრა-

პეზიდან, აიღო ერთი დიდი ძველი ვერცხლის ჯვარი. რომელიც მეფეების დროს სალაშქროდ გასულ ჯარს მიუძღოდა ხოლმე წინა, დაუძახა თევდორეს და იმას მიასვენა გულზედა; მერმე შე დამიქნია თავი; მომცა წმიდი გიორგის, ძვირფასი თვლებით შექედილი ხატი და დამაყენა თევდორეს გვერდზე. შემდეგ სხვებს ჩვენი ხნის კაცებს, დაუძახა და ამათაც ყველას თათო ხატი მისცა. ავანთეთ კელაპტრები და გამოვედით კარზე. აქ დაგვხვდა მთელი ჩვენი სოფლის დიდი თუ პატარა, ამათაც ყველას ანთებული სანთლები ეჭირათ ხელში: ქუდები მოეხადათ და მხიარულის მოკრძალებით შემოსცქეროდნენ წმიდა, სასწაულო-მომკმედ ხატებსა. მშვენიერი მალალი ხმით იწყო გალობა მღვდელმა... ქრისტე აღსდგა მკვდრეთით სიკვდილით, სიკვდილის დამთარგუნველი და საფლავების შინათა ცხოვრების მიმნიჭებელი“ იწყო გალობა და გაგვიძღვა წინ ლიტონის შემოსავლელად. ჩვენც მივძახეთ ბანი და ლაღადებით გავყევით უკანა. როდესაც შემოუარეთ საყდარსა და მის კარებ წინ შეეჩერდით, მღვდელმა ხმა მალადაიძახა: ქრისტე აღსდგა, შვილებო, ქრისტე აღსდგა!.. და ხალხმაც ერთხმით დაიგრილა: ქეშმარიტად აღსდგა, მამაო, ქეშმარიტად!.. და ეს გრიალი მოეფინა მთელ ჩვენ სოფელსა, მის მინდორსა და ველს, მის მთა და ბარსა! დილა იყო მშვენიერი!... მართალია სიცივე ცოტა იკბინებოდა, მაგრამ ჰაერში ისეთი მყუდროება სუფევდა რომ ჩვენს ანთებულ კელაპტრებს თავისუფლად გაუდიოდათ გუზგუზი. ცაზე მთვარე აღარა სჩანდა. მაგრამ სამაგიეროდ

იგი მოქედილი იყო ურიცხვი ბუღვრიალა ვარსკვლავებითა. პატარობისას გაგონილი მქონდა, — ვარსკვლავები ანგელოზების ოთახებიაო. თუ ეს მართალია, არა მგონია რომ იმ ღამეს სამოთხეში კიდევ დარჩენილიყვნენ ანგელოზები! ყველანი ცაზედ გამოსულიყვნენ, დაელოთ თავიანთ ღამაში ოთახის ფანჯრები და მხიარულად იცქირებოდნენ ჩვენსკენა. გლახაკობას ახლაცა სჯერა და წინაღობა ბატონისაგან გამიგონია, რომ აღდგომა ღამეს, როცა ადამიანები ქვეყანაზე ლიტონიას უვლიან, ცაშიაც მაშინ ანგელოზები ფერხულს აბმენ, უკრავენ ტაშს, გალობენ და თამაშობენო. გამიგონია აგრეთვე, რომ აღდგომა ღამეს ცაზე უმტვერო ქალღმერთთ თეთრი ბატკანი გამოჩნდება ხოლმეო. დიდ-დედა დარეჯანას და მასთან რამდენსამე სხვებსაც ერთხელ კაი ხანს ეცქირათ ასეთი ბატკნისათვის. ამბობენ: როცა ეს ბატკანი ღამაზად, გარკვევით სჩანს ცაზე, იმ წელიწადს აუარებელი მოსავალი მოვა ქვეყნიერობაზეო... და თუ მკრთლად გამოჩანს, ისე თითქო ღრუბელშია გახვეულიო, მაშინ უამინდო, უმოსავლო წელიწადი მოვაო... როგორც წესია, სამჯერ შემოუარეთ ეკლესიას და მერე შევედით შიგნით. როცა წირვის გამოსვლა მოახლოვდა, გამოვიხედე საყდრის კარებიდან და ჩემ ჯალაბს თავით ვანიშნე: დროა მეთქი. ისიც მაშინვე წავიდა შინა და პატარა ხანს უკან მოიტანა ხონჩა, რომელზედაც ელაგა სამიოდ-ოთხი ღაფაში და პურები, ერთი თეფში წითლად შეღებილი კვერცხები, მოხარული ბატკნის ბეჭი, ორი კელაპტა-

რი ცოტაოდენი საკმლითა და ერთი ძოზდილი დოქი ღვინითა. გამოვართვი ეს ხონჩა და ნელნელა გავსწიე სასაფლაოსკენ. სულ ასიოდე ნაბიჯი იქნებოდა იქამდისინ და მთელი ეს გზა სავსე იყო მიმავალი ხალხითა. ამათაც ყველას სავსე ხონჩები ეჭირათ ხელში და ჩემსავით ესენიც თავიანთ მიცვალებულთა საფლავების საკურთხებლად მიდიოდნენ. მივედი ჩემ დედ-მამის საფლავებთან, ავანთე კელაპტრები: ერთი მამის საფლავზე დავამაგრე, მეორე დედისა. ამათ შუაში ჩავდგი ტაბლა-ზედაზე. მოძღვარმაც დიდხანს არ გვალოდინა! ოღარ ჩამოკიდებული საცეცხლურის კმევით მობრძანდა, დადგა შუა სასაფლაოზე და იწყო „ქრისტე აღსდგა“-ს გალობა. როცა გალობა გაათავა, ნაღვლიანად შემოავლო თვალი მთელ სასაფლაოსა და მერმე მალაღლის, რიხიანის ხმით შესძახა: გარდაცვალეებულნო, საფლავსა შინა მდებარნო, გიხაროდენ თქვენცა!.. ქრისტე აღსდგა!.. აღსდგა მაცხოვარი და დაითრგუნა სიკვდილი!.. აღსდგა ქრისტე და დაიქცა ბქენი ჯოჯოხეთისანი!.. აღსდგებით თქვენცა უკანასკნელსა მას დღესა!.. მღვდლის უკანასკნელ სიტყვებზე მთელს ტანში ჟრუანტელმა დამირბინა!.. და როცა ის გაჩუმდა, ვიგრძენ, რომ მთელი სასაფლაო შეირყა, თითქო დედა-მიწა ინძრავ. ამავე წამს მომესმა საფლავებიდან ერთი ღონიერი ამოქშენა, სწორეთ ისეთი, როგორც ამოიქშენს ხოლმე ხანგრძლივის ძილის შემდეგ ახლად გამოღვიძებული. რაღაცნაირმა შიშმა და კრძალვამ შეიპყრო მთელი ჩემი ჭკუა გონება. გაშეშებული ვიდექი და თვალე დაჭყეტილი დავცქეროდი ჩემი მშობლების საფლა-

ვებს; დავცქეროდი და მეგონა: ან ახლა, ან ახლა გადაიშლება მიწა აქეთ-იქით და საფლავებიდან თავებს ამოჰყოფენ ჩემი საწყალი დედამა მეთქი.. მღვდელმა ყველას სათითაოდ გვიკურთხა საფლავები და მერმე დავბრუნდით ჩვენ ჩვენს სახლებში.

IX

სამივ მამაშვილები შევედით სახლში. დერეფნიდანვე დავიძახე ხმა მაღლა: ქრისტე აღსდგა!.. — ჭეშმარიტად აღსდგაო! გვიპასუხა მოწყენილის ხმით მხოლოდ ხორეშანმა.

— აბა, ერთი პირი გაგვახსნილებინეთ, წარმოვსთქვი მე... ქალები სადღა არიან?..

— ახლავე, ახლავ!.. მიპასუხა იმანვე.. და იწყო რაღაც უხერხულად, აჩქარებით, ფუსფუსი: იქ ქვებს შეუკეთა შეშა, თუმცა არავითარი შეკეთება უნდოდა; აქ ზედადგარზე გაასწორა ტაფა, რომელიც უამისოთაც სწორე იდგა. ქალები? ქალები, ჩემო ბატონო, მიმსხდარიყვენ აქეთ-იქით კედლების ძირას და, ინდოურივით აფხვერილები, უბღვეროდნენ ერთმანეთს. ჩავხედე ქვაბებს! შიგ მოუხარშავი ინდოურის მეტი ჯერ არაფერი სჩანდა. მეწყინა და გაჯავრებით დავიძახე:

— ეს კაი ამბავია?! აღდგომა დღეს ოჯახში რომ პირის გასახსნილებელი არაფერი გქონდეს, განა ამაზე მეტი უხეირობა კიდევ შეიძლება?.. რა ამბავია ესა?..

— რა ვიცი!.. მიპასუხა იმანვე დალონებით; ამ ჩემ რძლებს ერთმანეთისა რაღაც ეწყინათ. შელაპარაკდნენ, თითონაც გაიშხამეს ბედნიერი დღე და

მეცა. მერმე დასხდნენ ეგრე აქეთ-იქით და ხელი აღარაფერზე წამომახმარეს. მაგათი იმედით არა ვჩქარობდი და როცა მარტოკა დავრჩი, ამაზედ მეტი ველარა მოვასწარი-რა!..

მე შევხედე ჩემ შვილებს. ზურაბა მიუახლოვდა თავის ცოლსა და უთხრა:

— დედაკაცო, ეს რა ამბავია?. რა ეშმაკის ჯორზე შემჯდარხარ ბედნიერ დღესა? რატომ არა შეგიჩხადებიან-რა?.

— მე შენი რძლის მოახლე არ გახლავარ! უპასუხე სოფიომ ბუზლუნით.

— შენ რაღა მოგსვლია, ქალო?. დაუძახა ახლა ზაქარიამ თავის ცოლსა,—რატომ ხელი არაფერში წაგიშველებია ამ მოხუცებული ადამიანისთვის?.

— ჩემ სამშობლოს აქ, შენი რძლის მოსამსახურეთ როდი გამოუგზავნივარ!. დაიძახა ახლა ქეთომა .. ის ქალბატონივით იჯდეს და მე კი საქმელები ვამზადო?..

— მე უფროსი რძალი ვარ და შენ უმცროსი უფროს-უმცროსობის მაღლი გაგიწყრეს შენა! — დაიწიკვინა პირველმა.

— ზედ შუაზე რო გაიპატრო, არ გიუფროსებ, არა!.. ჩემ სამშობლოსთან გუდა მშიერა მამი-შენის ოჯახის სახსენებელიც კი არ არის! . თუ უფროსობაზე მიდგა საქმე, მე უფრო შემშვენი უფროსობა, სინამ შენა... შეჰყვირა მეორემ.

— დაჩუმდით! შემოუტყიე ორივეს...

— მე მაგასთან ცხოვრება არ შემიძლიან!.. დაიძახა პირველმა.

— არც მე მინდა მაგასთან ცხოვრება!.. თუ დღესვე არ გავიყარებით, ხვალვე მე ჩემ გზას მოვინახამ!.. მიჰბანა მეორემ.

— ხელახლა შევხედე ჩემ შეილებს. ესენი გააფთრებულ ლომებივით იდგნენ და თავ-თავიანთ ცოლებს შებღვეროდნენ.

— რას იტყვით, ბიჭებო, ამ ამბავზე? შევეკითხე მათ

ორნივე გატრიალდნენ და დერეფნიდან თითო მოქნილი იფნის სახრე შემოიტანეს და მითხრეს:

— აი მაგათი წაძალი!..

სწორე მოგახსენოთ, მიამა! მაგრამ ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ სხვა აზრზე დავდექი. სახრეები გამოვართვი და გვერდზე გადავყარე.

— მოდით, დაავლეთ თქვენ თქვენს ცოლებს ხელი და მომყევით უკან, ვუბძანე ჩემ შეილებს. მაშინათვე მივიდნენ, სტაცეს ხელი და თუმცა წინააღმდეგობის გაწევას ცდილობდნენ, მალე იკადრეს მორჩილება. აიყვანეს ხელში და გამომყვნენ უკან. მე გავედი ეზოში, გავალე პურის ბელელი დავუთხარი ბიჭებს:

— შეპყარეთ აქ ეგ თავლაფიანი ტარტაროზები, ეგენი მეთქი...

ორნივე შევაბრძანეთ ბნელ ბელელში და გამოვუკეტეთ კარი. მერე შევბრუნდით სახლში, მივეშველენით ჩვენს ბებერ მზარეულს და მალე მოვამზადეთ სანაქებო სადილი. იმავე დროს ბელლის

წინ გავშალეთ სუფრა, მოვხადეთ ქვევრი, შემოუსხედით გარეშემო სუფრასა და შემოვძახეთ სხვადასხვა სიმღერები. ამ დროს მობრძანდა მღვდელიც, გვიკურთხა სუფრა და როცა ჯვრის სამთხვევლად ივედით, მან გაცვებით მიიხედ მოიხედა და იკითხა ჩვენი რძლები. მე, რაღა თქმა უნდა, არაფერი დაუვმალე მოძღვარსა. ვუამბე ყველაფერი და ბოლოს მოვახსენე:

— მე ჩემი მოვალეობა შევასრულე, მამაო! ახლა თქვენ იცით და თქვენმა მოვალეობამ!..

— მეც ვიცი, ბერუა, ჩემი მოვალეობა,— ბძანა კეთილმა მწყემსმა;— ქრისტიანული დარიგება და, შემდეგ სინანულის, მიტევება... აი ჩემი მოვალეობა!

მღვდელი მივიდა ბელელთან, გააღო კარები და ცხარე ცრემლით მტირალ ქალებს მამაშვილურის დაყვავებით უთხრა:

— გამოდით, შეილო, გამოდით კარზედ!.. იჩავე წამს მორჩილებით წამოდგნენ და გამოვიდნენ ბელლიდან. მღვდელმა, უფალმა ნათელი მოჰტინოს იმის სულსა, მისცა მშვენიერი დარიგება, ამთხვევინა ჯვარზე, მერე ერთმანეთს აკოცნინა, დალოცა და უთხრა:

— ამ წმინდა ჯვარის წინაშე დასდევით შეილებო, პირობა, რომ შეიყვარებთ ერთმანეთს, ვითარცა ღვიძლი დები, იშრომებთ თანხმობით და იცხოვრებთ მშვიდობითა და მყუდროებით. ეს ბრწყინვალე დღესასწაული იყვეს თავდები თქვენი პირობისა და მისმავე მადლმა შეგაძლებინოთ ამ პირობის წმიდათ შესრულება!..

ქალებმა დასდევს ესეთი პირობა და, უშველოს ღმერთმა მათ მშობლებს, სწორეთ რომ სანაქებოთ ასრულებენ მას აქეთ ამ პირობასა...

— პატარობისას დიდ რამეთ მიმაჩნდა, მამაჩემო, ეგ შენი უებარი წამალი, ახლა კი, ჩემის ქკუით, ბევრი არაფერია!.. დაიძახა უცებ დათიკამ... მოხუცმა წარბი შეიკრა, თავი აილო მალლა და მრისხანებით გადახედა ამ სიტყვების მთქმელს ზურაბამაც და ზაქარამაც გაოცებით დაუწყეს ცქერა დათიკას.

— როგორ?.. აბა. ერთი ქკუს გვასწავლე... ქალაქში ნამყოფი ბრძანდები და, რალა ექვი უნდა ჩვენზე მეტი გეცოდინება!.. უხრა დათიკას ბერუამ... დათიკა არ შეკრთა, მამას გაბედვით შეხედა თვალებში და თამამად წარმოსთქვა:

— ისე რომ შიშითა და მონური მორჩილებით, სახრითა და მუშტით არაფერი გაკეთდება საფუძვლიანათა. ესეთი საქმე ტალახით აშენებულ კედლებსა ჰგავს: სანამ ან წიხლს არვინა ჰკრამს, ან წვიმა-ქარიშხალი არ დაჰკრამს, სინამ იდგება, მაგრამ საკმარისია რაიმე შემთხვევა დაატყდეს თავსა და ეს ჩვენი კედელიც მაშინვე გადაინგრევა...

— მიჰქარამ, დაუყვირა გაჯავრებით მოხუცებულმა, — მაშ რათა დგას ესე მაგრა ჩემგან აშენებული კედელი, თუ ის ტალახით არის აშენებული?

— იმიტომა, რომ მაგ შენი კედლისათვის წიხლის კვრა ჯერ ვერავის გაუბედავს...და ვერ გაუბედავს

იმიტომ, რომ ყველანი ამ ოჯახში შიშ ქვეშ ვიმყოფებით. ყველგან ბატონ-ყმობა გადავარდა და ჩვენ სახლში კი ისევ ძველებური ბატონ-ყმობაა?.. დღეს აქ ყველანი სწორეთ ისე შემოგვცქერიან. როგორც ერთ დროს შენ შესცქეროდი შენგან ქებულ დიდ არამზადა ბატონს, თონიკე ქედმაღალა-შვილსა, რომელიც ლუკმა-ლუკმა ასჩეხეს თავისავე გლებებმა, ალბად, კაი კაცობისათვის!..

— ჰაი, შე შეჩვენებულო, შე წყეულო, შენა გაბრანებით შეჰყვირა მოხუცმა და წამოვარდა ზეზე...

— დაიცა, მამაჩემო, დაიცა!.. უთხრა მამას ზაქარამა, — მაგ ვაჟბატონის მორიგება მე მომანდე... წაბრძანდეს ეს სტუმარი!.. ვუჩვენებ თავის სეირსა... დათიკა წამოდგა ფეხზე. იორდანე და სვიმონა ამოუდგნენ აქეთ-იქიდან. ცხადათ სჩანდა, რომ ესენი თანაგრძნობით უცქეროდნენ დათიკას.

X

ამ დროს მუხის ქვეშ თავი შემოყო ერთმა გლებმა, როგორც აღმოჩნდა, ამ სოფლის გზირმა, და ბერუას რაღაც დაწერილი ქალაღდის ფურცელი გაუწოდა...

— რა არის ეგა, პეტრე?.. იკითხა მოხუცებულმა.

— რა ვიცი! — უპასუხა გზირმა, — მამასახლისმა წამცა, ქრისტესიანთ ბერუას მიუტანე: სუღშია და ბარებულო.

— როგორ-თუ სუღში!.. გაკვირვებ-გაჯავრებით წამოიძახა ბერუამ; სუღში რა მესაქმება?. ხომ არ

გადარეულა ი მამასახლისი?!. ქალღმერთი გამოვართვი პეტრესა: სასამართლოს უწყება გამოდგა. წავიკითხე და არ მესიამოვნა მისი მინაარსი! თავადნი — თეიმურაზ, შალვა და მანუჩარ ქედმაღლიშვილები უჩიოდნენ ბერ-თა ქრისტიანთა შვილს მუხრანელის ვენახის შესახებ: ჩვენია და იმას ტყუილად უჭირავსო. ამ აზრზე საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა ყველა იქ მყოფ ქრისტიანთა შვილებზე, რომეტიებულად კი ოჯახის უფროს ბერუაზე. ფერი ეცვალა, კვირის ოფლმა დაასხა, ნაღვლიანად შემომხედა და დაბალის ხმით წარმოსთქვა:

— ჩემ დღეში სუდი თვალითაც კი არ დამინახამს. მუდამ იაე ვერიდებოდი, როგორც ურია ლორის ხორცსა!.. და დახე ერთი რა უქნიათ მაგ წყეულებსა!.. მუქარა აუსრულებიათ!.. მოხუცებულმა გადახედა ზურაბასა და უთხრა:

— ბიჭო ზურაბო, შენ უნდა წახვიდე, შვილო, სულში მე არ შემიძლიან...

— არა, მამაჩემო, — უპასუხა ზურაბამ, — ჩემი საქმე არ არის სულებში სიარული! არა გამეგება-რა და, გაკეთების მაგივრად, სულ ერთიანად გავათუქებ საქმესა.

მოხუცებულმა ახლა ზაქარას შეხედა, მაგრამ ამან სიტყვაც აღარ დააცადა; ცივი უარი უთხრა:

— ვერც მე წავალ, მამაჩემო, სულში!.. იქ კონუ გამგზავნილ-და თუ გინდათ, — სამთავე ძმებს ერთ დღეს დავჭრი თავებსა!.. სთქვა ზაქარამ და გაბრაზებით დაიდო ხანჯალზე ხელი.

— არა, მამაჩემო, — წარმოსთქვა დინჯად..

აუჩქარებლივ დათიკამ, — მაგათ ჩაძაღლებას არც მე გავექცევი, მაგრამ ეს საქმე სხვა რამეს მოითხოვს და არა ხანჯლის ტრიალსა იმათ საქმე „კანონით“ დაუწყიათ, ჩვენც „კანონს“ უნდა მივმართოთ. „კანონს-კანონი“ უნდა, „სტატუას-სტატია“!..

მოხუცებულმა შემომხედა და თავის ქნევით დაბალის ხმით მითხრა:

— ხედამ ამ ავაზაკ სათოკეს, როგორა ლაპარაკობს?.. აი მაგისთანა სიტყვები შეგვძღვნა მაგისმა ქალაქში წოწიალმა! შევხედე დათიკას და, საკვირველია, მხოლოდ ახლა შევნიშნე მისი კინტოური ჩაცმა-დახურვა, კინტოური წუღები, უბე დაშვებული შავი შარვალი, შავი მოკლე ჩოხა და ამ ჩოხაზე შემორტყმული დიდ ბუშტებიანი ვერცხლის ქამარი.

— ეტყობა, ხშირი სტუმარია ეს ვაჟბატონი ქალაქისა? დავეკითხე დაბალისავე ხმით ბერუას.

— თორმეტი წლისა იყო, როცა პირველად სახლიდან გაგვექცა, მიპასუხა მან. მთელი წლის ძებნა-ჩხრეკის შემდეგ მივაგენით კვალსა, მერე კიდევ ვიპოვნეთ: ქალაქში ჩასულიყო და იქ ერთ ადუკატს მოსამსახურეთ დასდგომოდა, იმ პირობით კი, რომ წიგნი ესწავლებინათ. წამოვიყვანეთ, მაგრამ ხელმეორედ გაგვექცა; იმავე ადუკატთან მისულიყო. სამჯერ თუ ოთხჯერ მოვიყვანეთ და ეგ ხელახლა ქალაქშივე გარბოდა. ავდექით ჩვენცა და მივანებეთ თავი. მას აქეთია იქა გდია!. სამ-ოთხ წელიწადში ერთხელ მოვა ესე, დაგვხედამს და წავა ისევა!. ეს ორი წელიწადია, ვილაც ავლაბრელ სირაჯთან არის თურმე.

— ჩვენ, — დაიწყო კვალად დათიკამ, — ხვალვე ქალაქს უნდა წავიდეთ და ჩემი ნაცნობი ადუკანტი ვნახოთ. მე რო იმასთან ვიყავი, მახსოვს, სწორეთ

ესეთი საქმე აიღო ერთი გლეხისა, „გაარაზბორა“ სულებშია და ბოლოს მოიგო კიდეცა. ისე კი არა, საყველ-პუროთ: დღეს ასეა და ხვალ სხვანაირათა; არა!.. „სავსემათ“ მოიგო.

— მარტოკა შენ წახვალ, თუ სხვაც იქნება საჭირო?... ჰკითხა მოლაპარაკეს ზურაბამ.

— არა,— მიუგო დათიკამ. მარტოკას მე ვინ მენდობა. მამა ჩემიც უნდა წამოვიდეს.

დათიკას ყველანი შეუჭრიგდნენ. დავსხედით და ჩაფიქრებით ვიწყეთ სჯა-ბაასი ახლად წამოყენებულ სავაგლახო საგანზე. ამ ბაასის დროს დათიკა თავის ცოდნით, გამოცდილებით და, მომეტებულად გაბედულობით, პირველობდა. გადასწყვიტეს: ხვალვე შესდგომოდნენ საქმეს. მზე დასავლეთით მთებს ეფარებოდა. მოვიდა ჩემი წასვლის დროცა. ნალვლიანის გულით გამოვეთხოვე ჩემს სტუმართ-მოყვარე მასპინძლებს და გავწიე სოფელ ნაზვრევისაკენ. ზენა-ქარი ამოვარდნილიყო. ტრიალ მიხდორზე რომ გავედი, ღონივრად დაუბერა; შავი სააედრო ღრუბლები საიდგანლაც წამოშალა და აქამომდე მოწმენდილ ლაყვარდ ცაზე მრისხანებით გაჰფანტა. პატარა ხანს უკან გაისმა ქუხილის გრიალიცა მე მაინც არა ვჩქარობდი: მივდიოდი ნელნელა დაფიქრებულ-დაღონებული... როცა წვიმის წინწყვლები დამეცნენ, გამიკვირდა!.. მე მეგონა, ამ ქარიშხალსაც, ქუხილსაც და ღრუბლებსაც ჩემთან არავითარი საქმე ჰქონდათ, რომ იგინი მხოლოდ ბერუა ქრისტესიაშვილის ოჯახის წინააღმდეგ გამოსულიყვნენ მის გარშემო ჩკრიბებოდნენ...

